საქართველოს მთავრობის

დადგენილება

N 451 2017 წლის 6 ოქტომბერი ქ. თბილისი

„საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტოს შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 23 მარტის №148 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტოს შექმნის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 23 მარტის №148 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 27/03/2017, 040030000.10.003.019857) შეტანილ იქნეს ცვლილება და მე-2 და მე-4 მუხლები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„**მუხლი 2.** სააგენტოს საქმიანობის სახელმწიფო კონტროლი განახორციელოს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრომ.“.

„**მუხლი 4.** საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრმა უზრუნველყოს:

ა) სააგენტოს დებულების დამტკიცება;

ბ) სააგენტოს წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირის - ხელმძღვანელის თანამდებობაზე დანიშვნა.“.

მუხლი 2. ამ დადგენილების საფუძველზე, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მიერ სსიპ – ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტოს დებულების დამტკიცებამდე, სსიპ – ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტომ იხელმძღვანელოს ამ დადგენილების ამოქმედებამდე არსებული სააგენტოს დებულებით, საშტატო განრიგითა და სახელფასო ფონდით.

მუხლი 3. საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტოს მიეცეს უფლება, განკარგოს „საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული პროგრამული კოდი 24 20 – „ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტის მშენებლობის ხელშეწყობა“, სსიპ – ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტოსთვის დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

მუხლი 4. საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო ჩაითვალოს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტოს უფლებამონაცვლედ.

მუხლი 5. დადგენილება ამოქმედდეს 2017 წლის 9 ოქტომბრიდან.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**